

ნოდარ არდოტელი

ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში

II

ზოგადად, კავკასიურ ეთნიკურ ტერმინთა, მათ შორის, დადესტნური ეთნონიმების – ხალხთა ეთნიკური იდენტობის გამომხატველი სახელების – ქართული ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის საკითხების სათანადოდ დამუშავება ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და სამეცნიერო ნაშრომებშიც არაიშვიათად ვაწყდებით უზუსტობებს.

ჩვენ ამჯერად განვიხილავთ¹ ლაკურ და დარგულ ენებზე მეტყველ ხალხთა ეთნიკურ სახელებს, რომელთაც შეიძლება სხვადასხვაგვარი წარმომავლობა ჰქონდეთ.

ლაკურ და დარგულ ენობრივ გარემოცვაში ამ ხალხთა აღსანიშნავად უპირატესად ორი სახის ეთნონიმი გაირჩევა: 1) ენდოეთნონიმები და 2) ტოპონიმური ეთნონიმები.

1) ლაკურ ენაზე მოსაუბრე ხალხის აღსანიშნავად ქართულში გავრცელებულია ეთნონიმი **ლაკი** (მრ. **ლაკ-ებ-**ი), რომელიც კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან და ენდოეთნონიმურ სახელთა ტიპს განეკუთვნება [ჩიქობავა 1965: 9; აბდულაევი 2010: 6-28...]. უწინ ლაკებს, რომლებიც ძირითადად განსახლებული არიან ლაკისა და ყულინის რაიონებში (ცენტრალური დადესტანი) როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე ზეპირმეტყველებაში **ყა-ზი-ყუმუხელებად** (მდრ. მთავარი აულის სახელწოდება **ღუმიქ**) მოიხსენიებდნენ, რაც ფაქტობრივ ტოპონიმური (ოიკონიმიდან ნაწარმოები) ეთნონიმია. ამჟამად მათ აღსანიშნავად ინდოევროპულ ენებზე სხვადასხვაგვარი ტრანსლიტერაციითა და ფონეტიკური ადაპტაციით **ლაკია** გაბატონებული და მიზანშეწონილი ჩანს, თანამედროვე ქართულშიც ამავე ფორმით გამოვიყენოთ. მეტადრე ეს

¹ ადრე უკვე გვქონდა შესაძლებლობა, გვესჯელა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ეთნონიმებზე [არდოტელი 2018: 9-14].

ითქმის სამეცნიერო ლიტერატურაზე, რომელშიც, ჩვეულებრივ, გავრცელებულია ეთნონიმის ამგვარი დაწერილობა და იგი დადესტნელთა საერთოეთნიკურ ტერმინთან (**ლეკ**-ი) არის გენეზისურად დაკავშირებული [აბდულაევი 2015: 440-441]. მართალია, ლაკურ ენაში ფუძისეული **კ** ინტენსიური ქს თანხმონით დასტურდება (**ლაქ**), მაგრამ ტრანსლიტერაციის კანონზომიერებით ლაკური მაგარი ქს ქართულად მარტივი **კ**-თი არის შეცვლილი¹ და დამკვიდრებული. რაც შეეხება **ლაკის** ფონეტიკურ ვარიანტ **ლეკს**, იგი ქართულ სინამდვილეში დადესტნელთა საერთო სახელია, ამიტომ ამგვარადვე უნდა ითქმოდეს და იწერებოდეს.

2) დადესტნის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ხალხის სახელწოდებად დადასტურებული **დარგოელი**//**დარგული** „დარგოს“ მიხედვით ჩანს წარმოებულ-წარმოქმნილი და ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს განეკუთვნება. თავდაპირველად ეთნონიმი **დარგოელი**, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, XIV საუკუნეში თემურ-ლენგის სოფელ **დარგაში** გალაშქრებასთან დაკავშირებით არის მოხსენიებული არაბულ წყაროებში [თოფჩიშვილი 2007: 226]. ზემომოყვანილი პარალელური ფორმებიდან (**დარგოელი**//**დარგული**) ამოსავალი **დარგოელი** ჩანს, ხოლო მეორე ვარიანტი (**დარგული**) **დარგულის** ანალოგიით, ფუძის ბოლოკიდურისეული **უ**-ს დავიწროების შედეგად (**ო** > **უ**) მიღებული, ხელოვნური ფორმის შთაბეჭდილებას ტოვებს და ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. პირველი ფორმა „**დარგოელი**“ ფართოდ გამოიყენება ქართულში, მაგ.: „...დაღისტანში ადგილობრივ ენაზე რამდენიმე გაზეთი გამოდის, მაგ.: **მთიელი** (ლუნძურად), **დარგოელი** (დარგოულად)...“ [ჯავახიშვილი 1992: 85], „**დარგოელების** (ხაზი ჩვენია – ნ. ა.) ტრადიციული დასახლების ადგილი შუა დადესტნის მთისა და მთისწინა რაიონებია...“ [ხუციშვილი 2002: 11], შდრ.: „**დარგულები** (ხაზი ჩვენია – ნ. ა.) შუა დადესტნის მთისა და მთისწინა რეგიონების მკვიდრნი არიან“ [თოფჩიშვილი 2007: 226]. რაც შეეხება „დარგოსა“ და „დარღოს“ ურთიერთმიმართების კანონზომიერების საკითხს,

¹ ხან ქართულშიც შეცდომით **ქ** იჩენს თავს: „ბალხარა, რომელიც **ლაქეთისა** (ხაზი ჩვენია – ნ. ა.) და აყუშის საზღვარზე მდებარეობს...“ [კავკასიური ხალხური პოეზია, თბ., 1959, გვ. 176].

თუ ეს სახელები ერთმანეთს უკავშირდება¹, მაშინ ამოსავალი **დარგო** (< **დარგვა**) უნდა იყოს, ხოლო მისი მჟღერი ვარიანტი **დარღო** – მეორეული. ამასთანავე ეთნონიმი **დარღოელი** მხატვრულ ლიტერატურაშია უფრო გავრცელებული, რაც იმამ შამილის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. ჩეჩნეთის ოიკონიმიური **დარღო** და დაღესტნის ეთნოტერიტორიული სახელწოდება **დარღო** (< **დარგო**) სხვადასხვა წარმომავლობისანი ჩანან.

ამრიგად, ლაკურ და დარგულ ენაზე მეტყველი ხალხების ეთნიკური სახელებიდან ქართულ ენაში პირველის გამოსახატავად გადმოვა **ლაკი** (**ლაკები**), ხოლო მეორის აღსანიშნავად მიზანშეწონილი ჩანს გამოვიყენოთ საერთოსატომო სახელი **დარგოელი**. რაც შეეხება **დარგულს**, იგი **დარგულის** ანალოგიით არის მიღებული, ხელოვნური ტერმინია და მისი დანერგვა აუცილებელი არ არის.

ლიტერატურა

აბდულაევი 2015 – Абдуллаев И. Х., Междагестанские и межкавказские языковые контакты, Махачкала.

აბდულაევი 2015 – Абдуллаев И. Х., Лакский язык в историко-сравнительном освещении. Морфология, Махачкала.

არდოტელი 2017 – ნ. არდოტელი, ზოგი დაღესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში, I. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთვრამეტე, თბილისი.

თოფჩიშვილი 2007 – რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი.

ჩიქობავა 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

ხუციშვილი 2002 – ნ. ხუციშვილი, დაღესტანი, თბილისი.

¹ არ არის გამორიცხული, რომ **დარღო** გავრცელებულიყო ამავე სახელწოდების ჩეჩნური აულის (აქ იმამ შამილს ჰქონდა რეზიდენცია) მიხედვით.

Nodar Ardoteli

**On the Transliteration of the Some Dagestanian Ethnonyms
into Georgian. II**

Summary

The two types of ethnonyms are predominantly distinguished to denote the people speaking the Lak and the Dargwa languages of Daghestan: 1) endoethnonymic and 2) toponymic.

The tribe name of the people speaking the Lak language *laḳi* (pl. *laḳ-eb-i*) belongs to the type of endoethnonymic names and should be written in this way. In addition, *leḳi* – the phonetic variant of *laḳi* is endoethnonymic name as well, though it is a common name for the Daghestanians and is established in Georgian in this way.

As for *dargoeli* // *dargueli* being the variants of toponymic ethnonyms that are used to denote the people speaking the Dargwa language, the first one is established in Georgian while the second one gives an impression of an artificial form and we think that it is not necessary to establish it.